„დროების“ რედაქცია—სიმონსონოვის ქუჩაზე, ნაზაროვის სახლში, 1-ლი კლასიკური გიმნაზიის უკან.

ხელის-მოწერა მიიღება თბილისში, რედაქციაშივე; ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მხცოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ Редакцію „Дроэба“.

ფასი: წლით 9 მ., 11 თვით 8 მ. 50 კ.; 10 თვით—8 მ.; 9 თვით—7 მ 50 კ.; 8 თვით—7 მ.; 7 თვით—6 მ; 6 თვით—5 მ.; 5 თვით—4 მ. 50 კ.; 4 თვით—4 მ.; 3 თვ.—3 მ.; 2 თვ.—2 მ.; 1 თ.—1 მ.

# დროება

გამოდის ყოველ-დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა: სტრიქონზე რვა კაპ.; განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი.

დღესასწაულის გამო ხვალ, პარასკევს, გაზეთი არ გამოვა.

---

ჟურნალი

„ნობათი“

გამოვიდა მე-4 წიგნი. ქალაქს გარეშე ხელის-მომწერლებთ გაეგზავნებათ: ქუთაისისაკენ ხუთშაბათს, 17 მაისს, კახეთისაკენ—პარასკევს 18.

---

საქართველო-იმერეთის სინოდის კანტორის კანცელარიაში (ეგზარქოსის მეიდანზე) და სალმთო წიგნების საწყობში, რომელიც იმყოფება სიონის სობოროს ეზოში მღვდელ პეტრიევთან, ისყიდება

დაბადება

ქართულს ენაზედ, დაბეჭდილი მხედრულის არა ხუცურის შრიფტით; თვითეული წიგნი (ორ ნაწილად) შეკაზმული ყდითა, 6 მან. ეხლა კი მყიდველებს ეძლევათ 1-ლი ნაწილი დაბადებისა და კვიტანცია მისაღებად მეორე ნაწილისა, რომელიც ამ მცირე დროში დაიბეჭდება გასასყიდად და რაზედაცა მყიდველებს ცალკე ეცნობებათ. ქ. თბილისი 1884 წელსა მაისის 14 დღესა. (3—1)

---

## როგორ უნდა გათავდეს ხიზნების საქმე?

თბილისი, მაისის 17-ს.

იმის შემდეგ, რაც ბატონ-ყმობა მოისპო, ჩვენი თავად-აზნაურობა, ვგონებთ, არც ერთ საქმეს ისე გულით არ მოჰკიდებია, როგორც ხიზნების საქმეს მოეკიდა....

1864 წლამდე, ესე იგი იმ დრომდე, ვიდრე ბატონ-ყმობა გადაწყდებოდა, ხიზნები თითქმის ყმების მდგომარეობაში იყვნენ. მებატონე ისე იმსახურებდა მათ, როგორც ყმას და ხიზნებიც ისე ხმარობდენ მებატონის მამულს, როგორც ყმები. 1864 წელს ბატონ-ყმობა მოისპო, გლეხ-კაცობის მდგომარეობა, ავად თუ კარგად, გამოირკვა, ყმა გარდაიქცა დროებით ვალდებულ გლეხად, მებატონემ მიიღო 25 მან. კაცის თავზედ და ხიზანი კი ისევ ხიზნად დარჩა, ესე იგი აძლევდა და აძლევს ღალას მებატონეს, უზიდავს შეშა-ფიჩხს, ეხმარება მუშაობის დროს, ემსახურება ცხენით თუ კაცით და ხშირად დღეობებში შეიარაღებულ ამალადაც კი მისდევს მას. ამგვარს დამოკიდებულებას ცუდი შედეგი არა მოჰყვებოდა-რა, მებატონესა და ხიზანს შორის ტკბილი, მამა-შვილური კავშირი რომ დამკვიდრებულიყო, მაგრამ, რაკი ბევრგან ეს კავშირი გაწყდა, ხიზანმაც მოინდომა და მებატონემაც თავისუფლებისა და ვალდებულების გაგება.

ამ უფლებისა და ვალდებულების გამოკვლევის დროს იბადება რამდენიმე კითხვა, რომელზედაც პასუხის მიგებაა საჭირო: მაგ. აქვს რაიმე უფლება ხიზანს იმ მამულზედ, რომელზედაცა სდგას და რომელსაცა მუშაობს, თუ მებატონეს თავისუფლად შეუძლიან ხიზნის აყრა მამულიდამ? ამ უკანასკნელ შემთხვევაში როგორ უნდა დაასაჩუქროს მებატონემ ხიზანი? ან შეიძლება თუ არა საზოგადოდ ამ კითხვების თავიდამ აცილება და ისე გადაწყვეტა საქმისა, რომ ორივ მხარე კმაყოფილი დარჩეს?

ჩვენის აზრით, ამ უკანასკნელს კითხვაზედ შეიძლება რიგიანი პასუხის გამოძებნა და შემდეგს წერილში ვეცდებით ეს პასუხი მკითხველსაც გავაცნოთ.

---

## შინაური ქრონიკა

— სამშაბათს სალამოს გამართულმა კონცერტმა ბ. ჭორიძისამ, სამწუხაროდ, კარგად ვერ ჩაიარა. გარდა იმისა, რომ თითონ უმთავრესნი მომღერალნი თითქო არც თავიანთ ხმაზედ იყვნენ და სხვა-და-სხვა ხმებიც ვერ შეერჩიათ,—კონცერტში მიიღეს მონაწილეობა იმისთანა პირებმა, რომელნიც სცენაზედ გამოსაშვებნი არ იყვნენ. მაგ. არ გვესმის, საიდამ წარმოუდგენია ბ. მიქელაძეს, რომ მას სცენების კითხვა შეუძლიან და ან საიდამ გამოძებნეს ვიღაც ძალიან სუსტად მომღერალი ქალი, რომელიც იმისთანა არტისტებს ამოუყენეს გვერდში, როგორნიც ბბ. რატილი და ჭორიძე არიან.

საზოგადოება ბევრი არ დაესწრო კონცერტზედ. ისედაც მცირე ზალა სამუსიკო საზოგადოებისა მხოლოდ ნახევრად იყო სავსე.

— მკითხველს ეხსომება ამას წინად ჩვენს გაზეთში დაბეჭდილი ამბავი შესახებ ცოლების განშორებისა სვანეთში თავიანთ ქმრებთან; ეხსომება, რომ ამ ამბავმა დიდი უკმაყოფილება გამოიწვია სვანებში, რადგან ბევრგან ერთმანეთს იმისთანები განაშორეს, რომელნიც ათი წლიწადი მეტი ერთადა სცხოვრობდენ და შვილებიცა ჰყვანდათ. ჩვენდა სასიამოვნოდ, ამ განკარგულებას ჯერედ უსიამოვნო შედეგი არა მოჰყოლია-რა, მხოლოდ მრავალს სვანს უჩივლია უმაღლესს სასულიერო მთავრობასთან და იმედი აქვთ,—ეს მეტად სამძიმო საქმე მშვიდობით გადაწყდეს.

— დიდი ხანია, რაც ქუთაისში ბ. ბენაევი ცდილობს ქართული გალობისა და სხვა სიმღერების ნოტებზედ გადაღებას და ქუთაისის საზოგადოებასაც მეტად მოსწონს მისი ხოროსაგან თქმული ქართული ხმები. ჩვენ გვატყობინებენ, რომ მომავალ კვირას ბ. ბენაევი აპირობს ქუთაისის სობოროში არქიელის წირვა ქართული გალობით გამოიყვანოსო.

— რაჭიდამა გვწერენ, რომ მაისის დამდეგს ყინვები იქაც ყოფილა, მაგრამ ვაზი და ხეხილი ძალიან არ დაუზარალებია; უფრო კაკლის ხეებს ავნოვო.

— როდესაც თბილისს თავის მშვენიერობა აკლდება, ბაქო თანდათან დიდდება და მშვენიერდება. როგორც იქაურ გაზეთში, „ბაქოს უწყებებში“ სწერენ, მალე იმ ქალაქში ცხენის-რკინის გზას გაიყვანენ და ტელეფონის გამართვასაც აპირობენო.

— გაზეთ «ქასპის» ატყობინებენ ლენქორანიდან, რომ აპრილის გასულს ადგილობრივ პრისტავს აღმოუჩენია ერთი ყალბი ფულის მკეთებელი, რომელიც სპარსულს ფულს თურმე აკეთებდა. ეს არის ვიღაცა რომან როსტოვცევი და დანაშაულობის ადგილზედვე დაუჭერიათ იქაურის მცხოვრებლის ჰასან-ბაგირ-ოღლის სახლში. ეს უკანასკნელი პირი პრისტავთან ყოფილა შეპირებული და თავის სახლში მიუცია მუშაობის ნება. როსტოვცევი წინად ბაქოს ციხეში მჯდარა და იქ ერთი კატორგაში ნამყოფი ტუსაღისაგან უსწავლია ყალბი ფულის გაკეთება; ძლიერ ხერხიანად და კარგადაც აკეთებს თურმე.

---

## «დროების» კორესპონდენციები

ხონი. ამ უკანასკნელს დროს ხონის საზოგადოებამ დიდი ქველმოქმედება გამოიჩინა თავის კეთილ-მდგომარეობის გასავრცელებლად. მან შესწირა თითქმის ათას-ხუთასი თუმანი ზოგი ფულად, ზოგი მასალით, ზოგი მიწით, რომ დაეფუძნებინა სკოლების სამასწავლებლო სემინარია. მან გამართა პირველ-დაწყებითი სკოლა და აღაშენა სკოლის სახლი, რომელიც ოთხას თუმანზე მეტი დაუჯდა; მისისვე ჯიბით არსებობს პირველ-დაწყებითი საქალებო სასწავლებელი, რომელიც მოელის უფრო მტკიცე ბურჯს და უკეთესს დაწყობილებას, ვიდრე ამ ჟამად არის. მაგრამ ყველაზე უფრო თვალსაჩენი და სამაგალითო საქმე მთელის საქართველოსათვის აასრულა ხონის საზოგადოებამ ამ უკანასკნელს დროს. მან გადასწყვიტა ხონის რკინის გზის ტოტის გასაყვანად დაეხმაროს რკინის გზის საზოგადოებას მიწების დათმობით და მუშის შეწევნით.

ყველამ ვიცით, რომ თუ საზოგადოებისა და ხალხის დახმარებით არა, ჩვენს ქვეყანაში არც ერთი რკინის გზის ტოტი არ გაკეთდება, რადგან მთავრობა ვერ მისცემს გარანტიას და კამპანია კი არ არის დარწმუნებული, რომ ამისთანა სამაზრო რკინის გზის ტოტებს ჰქონდეს იმდენი წარმოება, რომ მათზე დანახარჯი ფული შემოსავლით აღადგინოს. ამისათვის თუ თვით საზოგადოება არ დაეხმარა რკინის გზის კაიპანიას და არ შეუმსუბუქა გასაკეთებელი ხარჯი, ისე კამპანია ვერაოდეს ვერ გაბედავს ამისთანა რკინის გზების გაკეთებას. მთავრობას კი თავის დღეში იმდენი თავისუფალი ფული არ ექნება, რომ ამისთანა სამაზრო რკინის გზებზე იკისროს თავდებობა უცხო-ქვეყნის კაპიტალისტების წინაშე. მაშასადამე, ჩვენი ქვეყანა, რომელიც ასე მდიდარია ყოველნაირის ბუნების ნაწარმოებით, რომლის გულში ამდენი აურიცხველი მადნეულობის სიმდიდრეა ჩამარხული, უნდა დარჩენილიყო უქმად, მოუხმარებლად გზების უქონლობით. სანამდის ჩვენს სამაზრო ხეობებში რკინის გზის მაშინები არ დაიწყებენ წივილს, მანამდის არც ერთი დიდი ფულიანი კაცი არ მოვა წარმოების დასაწყებად, რადგან ყოველი ნაწარმოების გადატანა აქედან ევროპაში და აზიაში ერთი-ათად ჯდება და ხელს არ მისცემს მწარმოებელს. მაშ თუ გვინდა, რომ ჩვენი ქვეყანა აღორძინდეს და ხალხს მიეცეს სიმდიდრე, კეთილ-მდგომარეობა და განათლება, საჭიროა თვით ხალხმა იზრუნოს თავის საკეთილ-დღეო საქმეზე, მისივე მეოხებით საჭიროა, რომ რკინის გზის საზოგადოებამ დახლართოს რკინის გზის შტოებით საქართველოს ნიადაგი.

ამ შემთხვევაში მომეტებულად საქებია ხონის საზოგადოების მოქმედება. აქ თავად-აზნაურობამ სწორედ თავის შესაფერი ალაგი დაიჭირა. ის შეიქნა ნამდვილი მოთავე ამ კარგის საქმისა. არ შემიძლიან არ მოვიხსენო თ. ი. დ. წულუკიძის, თ. ა. დ. წულუკიძის, ის. ტ. წულუკიძის, თ. პ. წულუკიძის ჩინებული მოქმედება. ისინი ჩასდგნენ გლეხობაში და დაარწმუნეს, რომ რკინის გზის შტო მათთვის ძლიერ სასარგებლო საქმეა და დაიყოლიეს კიდეც. «გვიჩვენეთ, ბატონო, მაგალითი და საცა თქვენ იქნებით, ჩვენც იქა ვართ, არასფერს

სასზოგადო საქმეში უკან არ ჩამორჩებით“—წამოიყვირა ერთმა გლეხმა. მთელს ხალხს იამა ამისთანა სიტყვები, მხიარულებით შეთანახმდენ და დაასრულეს საქმე. ხონის ვაჭრების მიმხრობაში ხონის განათლებულ ყმაწვილებსაც მიუძღვით კარგი ღვაწლი. ბ. ა. ჭუთათელაძემ წარმოსთქვა გარკვევით ვაჭრობის აზრი და შემდეგ ამისთანა პირობა შეადგინეს.

ხონის საზოგადოებამ დაუთმო რკინის გზის კამპანიას: 1, ადგილები, რაც რომ რკინის გზის შტოსა და სტანციას მოუნდება; 2, ამასთანავე სთხოვა რკინის გზის საზოგადოებას ზედა სამეგრელოსა და ხონის მაზრის შესაერთებლად რკინის ხიდის გაკეთება ცხენის წყალზე; და 3, შესწირა უსასყიდლოდ კომლზე ექვსი დღის მუშაობა. ეს არის პირველი მაგალითი, სადაც ჩვენი ქვეყნის საზოგადოება თავის საჭიროების გულისათვის ეკვრება რკინის გზის კამპანიას რკინის გზებისა და ხიდების გასაკეთებლად. იმედია, რომ ხონის მაგალითს მიჰბაძავს მთელი საქართველოს მაზრები და არ გამოვა ათი წელიწადი, რომ ჩვენი ქვეყანა მოეფინება რკინის გზებით და საქართველო ისევ დაიჭერს თავის შესაფერს ადგილს შავსა და კასპიის ზღვებს შორის გაშოტილს მიწის ყელზე.

დასასრულ არ შემიძლიან ორიოდე სიტყვა არა ვსთქვა ბ. კ. ალშიბაიაზე. ეს არის მარტვილის სასულიერო სასწავლებელში გამოზრდილი და ქართულს ძველს სასულიერო და საერო მწიგნობრობაში განვითარებული კაცი. თუმცა ჩამომავლობით მეგრელია, მაგრამ ქართულის ენის ცოდნაში ნურც ერთი ქართველი ლიტერატორი ნუ იფიქრებს, რომ დაუტოლდეს მას; ნამდვილის ქართულის ენით მოლაპარაკე, საკვირველი ნიჭიერი, მოხერხებული, ნამდვილი ორატორი და გამოცდილი ხალხის მცოდნე კაცი. ხონის, მალხოჯისა და საწულუკიძეოს საზოგადოებების შეთანახმებაში რკინის გზის გასაყვანად ამან დიდი ღვაწლი დასდო. უველაზე სასიამოვნო ის არის, რომ ამ კაცს ხალხი ენდობა. ამ უკანასკნელს დროს ქუთაისის მაზრაში, საცა კი სკოლა, ან სასოფლო ბანკი გახსნილა, ყველა მომხდარა ბ. კ. ალშიბაიას თაოსნობით. ღმერთმა მოგვცეს ბევრი ამისთანა ბუნებით ნიჭიერი და ცხოვრებაში გამოცდილი მოღვაწე.

ბ. წერეთელი.

---

ქუთაისი. ამ მოკლე ხნის განმავლობაში რამდენიმე ვაჭარი გაკოტრდა და იმათი წყალობით მრავალნი დადიან გულ-ხელ-დაკრეფილნი, რომელთაც კი მათ მიანდეს თავიანთ სარჩო-საცხოვრებელი.

ამ ვაჭრების რიცხვში ყველაზედ ოსტატურად მოიქცნენ ძმები ხ—ბი, რომელთა მეოხებით მტირალ ხალხს ათობით და ათასობით შეხვდებით: ქართველს, ურიას, თათარს, ბერძენს, მხარეულებს, ლაქიებს, მეთულუხჩეებს, მოსარეცხეებს და სხვათა. ამ საწყლებს ხ—ბისაგან მიგზავნილი დალალების ჩაგონებით მიუციათ მათთვის სასარგებლოდ თავიანთი სისხლის ოფლით ნაშოვარი ორიოდე გროში. დღეს ნაცვლად მისა, რომ ხ—ბმა სინიდისიერად გაისტუმრონ ეს საწყალი ხალხი, პასუხსაც აღარავის აძლევენ, ხმას არავისა სცემენ, თითქო არც კი იცნობდენ. რა ჰქნან ამ საწყლებმა? მიმართონ სასამართლოს და იჩივლონ, რა იქნება? მეტი შრომა და ზარალი მიეცემათ.

რადგან ამ საშუალებით და მოხერხებით ხალხისგან ნაცარცვი ფული არ ეყოთ, ძმებმა ხ—ბმა მოიგონეს სხვა გვარი ხრიკებიც: ხ—ბს ჰქონდათ შენობები, რომლებშიაც იდგნენ მოქირავენი. ქირაობის კონდრაქტზედ ორივ ძმა აწერდა ხელს. რადგან ამ ორს ძმას ერთიერთმანეთთან ერთობა ჰქონდათ, ამისათვის ფულს მოქირავეთაგან თავ-თავის დროზედ უფროსი იღებდა და ხელსაც აწერდა ფულის მიღებაზედ. ეხლა უმცროსი ძმა უჩივის რამდენსამე პირს, დუქნებს არ მაბარებენ ეს პირები და არც ქირები მიმიღიაო, არ სცნობულობს თავის ძმის ხელ-მოწერილს და აღარც ის ახსოვს, რომ ფულები მიიღო. ამბობს: «თქვენ თუ უფროსს ძმას რამ მიეცით, მისგან ეძიეთ და მე კი ჩემი ხვედრი მომეცითო». სჩანს რომ ეს განძრახულება ადრევე ჰქონიათ ძმებს ხ—ბს, როდესაც მარტო უფროსი ძმა მიდიოდა ფულის მისაღებად და უმცროსი კი არა. ხ—გან დაწყებულს საჩივარზედ ხსენებული მოქირავე პირები არ დაესწრენ, რის გამო სასამართლომ დაუსწრებელი განჩინებით სასარგებლოდ ხ—ისა დაადვა გარდასახადად ზოგს ოთხასი, ზოგს ხუთასი მანეთი. თუმცა ესენი შეიტანენ პასუხს და იქნება თავიც გაიმართლონ, მაგრამ იანგარიშეთ, რამდენი ხარჯი და ზარალი მოუვათ. სად არის სინიდისი და პატიოსნება ძმების ხ—ბის მხრივ, როდესაც ესე სჩაგვრენ და აწუხებენ სრულიად მართალს ხალხს?!

ამას გარდა, როგორც ზევითა ვსთქვი, რამდენიმე მშიერი დალალების დახმარებით ვისგანაც სესხად ფული ხელთ იგდეს, არათუ დაუბრუნონ თავიანთი, როგორც კაცობრიული სინიდისი მოითხოვს, არამედ აღარც კი ცნობილობენ და ხმასაც აღარა სცემენ. ამას გარდა, მამულები სხვას გარდასცეს, რომ მოვალეები აიცილონ და ქირას კი ამ მამულებიდან თვითონვე ღებულობენ. ნუთუ ამათ უნდა შერჩეთ ამდენი ხალხის გალატაკება და წვალება?

როგორც გავიგე, რამდენიმე ხ—გან დასჯილნი პირნი აპირობენ მიიქცენ გუბერნატორთან თხოვნით, მაგრამ, იმედია, ამ განძრახულების შესრულებამდისაც ბ. გუბერნატორი გამოიკვლევს ამ ხ—ბის მოქმედებას და მით დაიხსნის ამდენ ხალხს მწუხარებისაგან.

---

წინა მხარი (კახეთი), 10 მაისს. არასასიამოვნო გაზაფხულია წელს წინა მხარში! იმ დიდი თოვლების და ყინვების შემდეგ, რომელთაც ოთხ-ფეხი პირუტყვი ძლიერ დაზარალეს, მარტმა მშვიდობიანად გაიარა. უველას იმედი ჰქონდა, ბოლომდის ასეთი თბილი გაზაფხული იქნებოდა და მოელოდა უხვს მიწის და ხეხილის მოსავალს, მაგრამ იმედი ყველას გაუცრუვა აპრილმა, რომელმაც ისეთი სუსხი გამოიჩინა, რომლის მგზავსიც მოსწრებულ კაცებს თავის დღეში არ უნახავთ: ისე დღე არ გადიოდა აპრილში, რომ ორჯერ-სამჯერ წვიმა არ მოსულიყო; წვიმას თან სიცივეც მოსდევდა, ღამე იწმენდდა და თითქმის ჰყინავდა. ნახნავებში წყალი ჩადგა და გააყვითლა ჯეჯილები, სიცივემ შეაყენა ზრდა ჯეჯილებისა, ბალახისა, ვაზის რქისა, ხის ყლორტებისა და ბოსტნეულობის ნათესობისა. იმათ მაგიერად გაიზარდა შამბი—ნამეტნავად ბოლოკა—და გადიარა ჯეჯილებზედ და წმინდა სათიბ ბალახზედ. მთელ მინდვრებს ეხლა ყვითელი ფერი ადევს და არა მწვანე.

არც მაისი დაუვარდა აპრილს,—პირიქით აჯობა კიდეც. მაისის 1 და 2 ისეთი სიცივეები იყო, რომ ყოველი ფერი დააძრო: ვაზი, ხეხილი; ლობიოს, კიტრის, ნესვის და სხვა ბოსტნეულის სახსენებელი ხომ გააქრო. ეხლა სთესავენ ზოგან ლობიოს და ყოველს იმ მცენარეს, რომელნიც ასე საშინლად მოუშუშა მაისის 1 და 2 სიცივეებმა. ისე ძლიერი იყო სიცივე ამ რიცხვებში, რომ უკანა-მხარში რთვილიც გააგდო და წყალიც გაყინა. ადგილ-ადგილ ვენახებში მოჩანან სიცივისაგან (მაისის 1 და 2) გადამხმარი ვაზები; ტყეებში აზარალა ძალიან და გადაახმო მუხა და წიფელი. საკვირველი ის არის, რომ, როგორც ვაზები, ეგრეთვე ხეები უფრო დაბლობ ადგილებში გადახმა მაისის სიცივის წყალობით.

სეტყვაც იყო აპრილში რამდენსამე სოფელში, მაგრამ შესამჩნევი ზარალი ვერაფერი მოიტანა.

არც ალაზანმა დაივიწყა თავისი ნავნები: ათ-სულამდინ ხარი და კამეჩი დაახრჩო. ერთი ვეჯინური ყმაწვილი ბიჭიც შეიტანა ურმით ერთ ჩხნდეში, მაგრამ წინა-მხარში გამოჩენილმა მენავემ ქიტი სეფიაშვილმა თავ-განწირულად იმუშავა და დაიხსნა იგი დახრჩობისაგან თავის ურმით. ამ გამოჩენილ მენავეს გადაურჩენია ალაზანში დახრჩობისაგან წინად 30 კაცი, თუ ქალი, და ერთი ნიშანი კი არაფერი არა აქვს-რა.

---

### რამდენიმე სიტყვა შესახებ «ზენეს» გუთნისა.

კავკასიის სამეურნეო საზოგადოებამ გამოიწერა რამდენიმე გუთანი „ზენეს“ სისტემისა იმ აზრით, რომ მიეცა საშუალება ჩვენი მხვნელ-მთესველებისათვის ახლო გაეცნოთ იმ გუთნის ღირსება და მოხმარება. ეს გამოწერილი გუთნები მიეცათ დროებით ზოგიერთა ადგილ-მამულის მწარმოებელთ გამოსაცდელად.

რადგანაც ყოველივე სისრულეში მოყვანილი გუთანი, ანუ სხვა სამეურნეო იარაღი მოითხოვს გასინჯვის დროს დიდ ყურადღებას გამსინჯველისგან, ამისათვის პირველადვე იმ მიხედულობით უნდა გაიჩხრიკოს, რამოდენად უფრო სასარგებლო იქნება ახალი იარაღის შემოტანა ხვნა-თესვისათვის. რასაკვირველია, ეს უნდა მოხდეს ქართულს გუთანთან შედარებით. ქართული გუთნის უპირატესი ნაკლულოვანება ის არის, რომ სიტლანქე და სიმძიმე მისი მოითხოვს მომეტებულს ძალას და ხარჯს თორემ ეს ნაკლულოვანება რომ არა ჰქონდეს, მაშინ დასაწუნი არ იქნებოდა. ამიტომაც შედარების დროს ის უნდა ვიქონიოთ მხედველობაში, რომ იმოდენივე მოხნას «ზენეს» გუთანმა, რამოდენსაცა ჰხნამს ქართული გუთანი, მხოლოდ ნაკლების ძალით და ხარჯით. მგონი, ამავე საფუძვლით შეუდგა ჩვენი სამეურნეო საზოგადოება წარსულ წელს ს. კასპში ამ გუთნების შედარებით გასინჯვას.

ჩემის აზრით, გუთანი ზენესი H. P. № 3 ადვილად დაიჭერდა ქართული გუთნის ადგილს, რომ ერთი მართლა შესანიშნავი ნაკლებულობა არა ჰქონდეს: ამ გუთანს ფრთა აქვს მოკლე და თავისგან გავლილს კვალს კარგად ვერ სწმენდავს და ისევ შიგვე კვალში აბნევს ბელტის ნამტვრევებს, თორემ სხვაფრივ კარგი მომართულობა აქვს: მსუბუქად დადის, თანაბრად გასდევს მიწის ნიადაგს, უფრო ღრმადა ჰხნავს, ვიდრე ქართული გუთანი, გუთნის-დედას არავითარ ძალას არა სთხოვს მოხმარების დროს. მოწყობილობა გუთანს ძიელ სადა აქვს: უფრო ხის იარაღისაგან არის შემდგარი და ბევრით ემგზავსება ქართულის გუთნის აგებულობას; ოთხ უღელი ხარ-კამეჩი ჰყოფნის ამითი ხვნას. მაგრამ საჭიროა რომ, როგორც ზემოთ ითქვა, ფრთას სიგრძე მოემატოს არა ნაკლებ სამი გოჯისა მაინც. ამის მომატება იმიტომ არის საჭირო, რომ გუთანი ხვნის დროს კარგად გასწმენდს კვალს და შიგ აღარ გადაჰყრის მიწას; მაშინ იმედია, გუთნის ველი იმოდენს კვალს გაიტანს, რამოდენიც გააქვს ქართულს გუთანს. ზენეს გუთანი რომ ასე გადააკეთოს მისმა გამკეთებელმა, მაშინ მართლა დაიმსახურებდა საზოგადო მადლობას და თვით გუთანიც შეიქმნებოდა ყოვლად სასარგებლო მიწის ხვნის იარაღი ჩვენი ადგილ-მამულის პირობების ხვნა-თესვისათვის, კიდეც გავრცელდებოდა ხმარებაში და დაიჭერდა ქართული გუთნის ადგილს. იქნება, ამ ცვლილებასთან ცოტა რამე ძალა და სიმძიმე მოემატოს, მაგრამ შედარებით ქართული გუთნის სიმძიმესთან ეს სახსენებელიც არ იქნება.

ი. სულხანოვი.

მაისის 10-ს 1884 წ.

ს. ტირძნისი.

## რუსეთი

—იუსტიციის სამინისტროს დაუწყვია გამსესხებელ-შემნახავთა ამხანაგობის შესახებ წესდების გადახილვა, რადგანაც აპირობს დიდი ცვლილების მოხდენას, როგორც სესხის მიცემის წესში, აგრეთვე იმ საგანში, რომ მიმბარებლებს ფული არ დაეკარგოთ. ეს წესდებულება შეადგენს დამატებას მსესხებელ ბანკების იმ წესდებულებისას, რომელიც ახლად შეუმუშავებია ამავე სამინისტროს.

— ოდესაში ეხლა-ხანს აღმოუჩენიათ მიწის ხვრელი, რომელიც გამართული ყოფილა მხოლოდ იმისთვის, რომ საიდუმლო გზა ყოფილიყო დამოქნაში მიმავალი. ამ ხვრელში უპოვიათ დიდ-ძალი კონტრაბანდით წაღებული ჩაი, ასე რომ ცხადია ამ ხვრელის დანიშნულება. ამ ავაზაკების გზისათვის შემთხვევით მიუგნიათ. წვიმას გაუფუჭებია ქუჩა და ამის გასასწორებლად გაუგზავნიათ მუშები და ამათ უპოვიათ. რამდენი ხანი არსებობდა ეს გზა, ძნელია ამისი თქმა.

— ამ წლის შემოდგომას პეტერბურგში ღვინოების გამოფენის გამართვას აპირობენ, რომელშიაც მონაწილეობას უფრო ბესარაბიელი და ყირიმის ღვინის მსყიდავები მიიღებენ.

— როგორც «რუსკი კურიერს» შეუტყვია, მთავრობას გადაუწყვეტია, რომ უცხოეთიდან შემოტანილს ქვანახშირს და კოქსს ბაჟი უნდა დაედოს. იმ ნახშირზე და კოქზე, რომელიც ხმელეთით დასავლეთის სამზღვრიდან და შავის ან აზოვის ზღვით შემოზიდული იქნება, $1\frac{1}{2}$ კაპეიკი უნდა გამოერთვას ფუთზე ოქროთი; ბალტიის ნაპირზე და არხანგელის გუბერნიის პორტებში კი ისევ ისე უბაჟოდ შემოიტანენ.

## სხვა-და-სხვა ამბავი.

—პეტერბურგში, ერთ საუკეთესო რესტორანში შესულა შუადღის სამ საათზედ ერთი ყმაწვილი კაცი, მოუთხოვნია კარგი საუზმე და, როცა გაუთავებია, ლაქიისთვის მიუცია ათთუმნიანი ქაღალდი და, ხურდა რომ მიუღია, წასულა. ერთი საათის შემდეგ, ამავე რესტორანში შემოვლენ ორნი, მოითხოვენ ცალკე ოთახს, მშვენიერ სადილს, შეუკვეთენ შამპანსკის და ანგარიშს მოითხოვენ. ლაქია მოუტანს და გავა. გაივლის ნახევარ საათი. ზარის ხმას რომ გაიგებს, ლაქია შევარდება ოთახში.—„ხურდა რატომ არ მოგაქვსო?—ეტყვის ერთი მათგანი.—რა ხურდა?—ჰკითხავს გაკვირვებული მსახური.—როგორ თუ რა ხურდა, ეხლა ათი თუმანი არ მოგეცით?—ტყუილად რისთვის მიგონებთ, მე თქვენგან ფული არა მიმიღია-რა.—როგორ? რაო? მე შენ გაჩვენებ!.. და ერთი ამხანაგთაგანი ამ სიტყვებით მივარდება ლაქიას; მეორე შეიმაგრებს. შეიქმნება ერთი აყალ-მაყალი, მოვა რესტორანის პატრონი, სტუმრები პოლიციას მოიწვევენ, პროტოკოლის შედგენას თხოულობენ და ამასთან ერთ-ერთი მათგანი გამოაცხადებს, რომ ათ-თუმნიანი ბილეთის ნომერი ჩაწერილიცა მაქვსო. ჩასწერენ ამას პროტოკოლში, კასას გასინჯავენ და მართლა იპოვნიან ფულს, რომელსაც ეს ნომერი აზის. უფრო დიდი აყალ-მაყალი შედგება; რესტორანის პატრონს შერცხვენისა შეეშინდება და 200 მანეთს თავისსავე დაუმატებს, ოღონდ სკანდალი თავიდამ აიცილოს. მკითხველი მიხვდება, რომ პირველი სტუმარი და მეორეები ერთმანერთის „ძმა-ბიჭები“ იქნებოდენ.

— ბელგიაში დიდიხანია შემდეგი ჩვეულება აქვთ შემოღებული: ყმაწვილი კაცი რომ მოდის სოფლიდან ქალაქში სალდათების არჩევანზე, თან წაიყვანს ერთ შინაურ მტრედს და, თუ ერგო სალდათად წასვლა, მოაბამს მტრედს ბარათს, ან თავის ბილეთის ნომერს და ისე გაუშვებს. მტრედი მიფრინავს სოფელში და ეს მახარებელი ფრინველი სამწუხარო ამბავს ატყობინებს ახალი სალდათის მშობლებს.

— ფრანცუზები, როგორც მოგეხსენებათ, განთქმულნი არიან ოხუნჯობით. აი ერთი მაგალითი, რომელიც მოყვანილია გაზეთ «ფრანსში»:

ორი ბავშვი—ნემეცი და ელზასიელი უყურებდენ ბავარიელ სალდათების თამაშობას. პირველმა წამოიძახა ამპარტავნულად:

— როგორ მოგწონს ჩვენი სალდათებიო?

— რა უჭირსო, უპასუხა მეორემ.

— ეს კიდევ რა არის, ჩვენ, პრუსიელებს, უფრო მეტი შეგვიძლიანო.

— მართლა?

— ჰო, აი ბერლინში ერთ დედაკაცს უეცრივ შვილი ეყოლა ბალკონზე. ყმაწვილი ბალკონიდან ქუჩაში გადავარდა, მაგრამ მაშინვე წამოხტა და წვიმის მილით ისევ ბალკონზე აძვრა.

— მე უფრო კარგ ამბავს გეტყვიო, უპასუხა დამშვიდებით ელზასიელმა.

— მართლა?

— ჰო, აი რა მოხდა სტრასბურგში: 1870 წელს ერთი დედა-კაცი შვილსა შობავდა. ყმაწვილმა თავი გამოყო, «პრუსიელებიო!» წამოიძახა, „მანამ ისინი ჩემს სამშობლოში არიან, არ მინდა დავიბადოო“, სთქვა ესა და ისევ იქ დაბრუნდა, საიდანაც გამოსვლას აპირობდაო.

ახსახში, მდინარე დარიის მარჯვენა ნაპირზე (თურქესტანის მხარეს) დიდძალი ხალხი მუშაობს ეხლა და მიწის თხრის დროს ჰპოულობს ქილებს, სპილენძის, ვერცხლის და ოქროს ფულით, მარჯნით და სხვა ქალის სამკაულით სავსეებს; ზევიდან ამ ქილებს ტყვია აქვთ გადასხმული; ერთი რაღაც გალერეია უპოვიათ, აგურით მოფენილი, რომელშიაც, როგორცა სჩანს, წყლის გასაყვანი მილიც ყოფილა; მთელი კედლები აღმოუჩენიათ კარგი გამომწვარი აგურით ნაშენები და სასაფლაო, რომელშიაც მრავალი კაცის ძვლებია თურმე. ეხლა იქ 1000 კაცამდის მუშაობს.

ინგლისში ერთ დაბაში საშინელი დრამა მოხდა. კონცერტი იყო დანიშნული. ამ კონცერტზე სხვათა მსმენელთა შორის შვიდასამდის ბავშვი იყო. ერთი ვილაც, გვარად მიდლტონი, შეხტა ესტრადაზე (თურმე გაგიჟებულიყო) და საშინელის ხმით წამოიძახა: „ბატონებო! აქამდის წარმოდგენას უყურებდით, ეხლა მე თქვენ ნამდვილს გიჩვენებთო.“ ამ სიტყვების შემდეგ ამოიღო ჯიბიდგან სამართებელი და ყელი გამოიჭრა. წასკდა საშინელი სისხლი, და საცოდავმა იქვე სული დალია. შეიქნა ერთი წივილ-კივილი. ბევრს ქალს გული შემოეყარა. ბევრმა გაქცევა დააპირა და მისცვივდენ კარებს. დირექტორმა მიიღო საშუალება, რომ უბედურება არა მომხდარიყო-რა. კარებები სულ ერთიანად გააღეს და ხალხი გაცვივდა ქუჩაში; კარშიაც ბევრს გული შემოეყარა.

„ნოვოროსიისკი ტელეგრაფის“ სიტყვით, ოდესაში ერთი რაღაც ნაირი ჯიანჭველა გაჩენილა, რომელიც ეკუთვნის ტერმიტების ჯიშს. ეს მწერი მარტო ცხელ-ქვეყნებში ცხოვრობს, მაგრამ არის ერთი გვარი, რომელიც იტალიაში, ესპანიაში და ხმელთა-შუა-ზღვის სხვა-და-სხვა კუნძულებზედაც იპოვება. ტერმიტები ოდესაში უცხო ქვეყნიდან მოტანილ საქონელში შემოუყოლებიათ და აქ გამრავლებულან. ხეს გარედან არას ავნებენ, მაგრამ შუა გულსა ღრღნიან. ამის გამო ყოველ ნაირი ფიცრის შენობა: სახლი, ხიდი, მებელი და ყველაფერი, რაც კი ხისა რამ არის, უეცრივ მთლად დაიშლება ხოლმე. ერთი პროფესორის სახლში ტერმიტებს სულ ერთიანად დაუშლიათ კარებები, ფანჯრის ჩარჩოები და სხვ.

პეტერბურგში ეხლახანს შემდეგი შემთხვევა მომხდარა. მდიდარ ბანკირ ბარონ ფ—ს უნდა გაეგზავნა უცხოეთიდან მოწერილობით ერთ რუსეთის ბანკში ბლომად ფული. როგორც რიგია, გაუგზავნია და ამის დასამტკიცებელი ქაღალდიცა ჰქონია. მეორეს დღეს ბარონ ფ—ს კანტორაში მოსულა ბანკის მსახური და უკან მიუტანია შეცდომით მისგან გაგზავნილი 3000 მანათი. მსახურს ეს ამბავი მაღალის ხმით წარმოუთქვამს და ამ დროს კანტორის მოხელეები და უცხო პირნიც ბევრნი ყოფილან ბანკში. ბარონს მეტად სწყენია და ამპარტავნულად უპასუხნია: თქვენს კასირს უთხარით, რომ ფულის ანგარიშში მე ჩემს დღეში არა ვცდებიო.—რას ბრძანებთ, ბატონო, ბანკის მმართველობამ გამოაცხადა, რომ მეტი ფული გამოგიგზავნიათ,—იმეორებს მსახური.

—მე გეუბნები, რომ ფულის ანგარიშში არ შემცდება! დაიყვირა ბარონმა და შევიდა თავის კაბინეტში. ბანკის მსახური გაბრუნდა და ფულიც თან წაიღო. კასა რომ შეუმოწმებიათ ბარონის კანტორაში, აღმოჩენილა, რომ მართლა შეცდომია და 3000 მანათი მეტი გაუგზავნია.

## ტელეგრამები

(„ჩრდილოეთის სააგენტოსი“)

მაისის 14.

**პეტერბურგი.** კურიერის მატარებელში, რომელიც მიჰყვებოდა დაზიანებულს ფოსტის მატარებელს, იყვნენ დიდი მთავარი სერგი ალექსანდრეს-ძე და პრინცი ოლდენბურგისა, რომელთაც დიდი მონაწილეობა მიიღეს დაჭრილთა მდგომარეობაში. მიზეზს მატარებლის დაზიანებისას იკვლევს პეტერბურგის სამოსამართლო პალატის პროკურორი მურავიოვი, რომელიც შემთხვევით მცირე ვიცერაში ყოფილა.

**ბერლინი.** სახელმწიფო და სარკინისგზო რჩევამ დანიშნა ცალკე კომმისია იმ პროექტის განსახილველად, რომელსაც საგნადა აქვს განსაკუთრებულის ტარიფის შემოღება რუსეთიდამ შემომავალის პეტროლიუმისათვის.

**პარიჟი.** გუშინდელი მღელვარება 1871 წელს დახვრეტილთა კომუნართ საფლავებზე მშვიდობიანად გათავდა. საღამოს რამდენიმე ათასმა კაცმა მოახდინა დემონსტრაცია ქუჩებში და იძახოდა: „გაუმარჯოს კომმუნას და სოციალურ რევოლიუციას“! პოლიციასთან შეტაკება არ მომხდარა.

**კაირი.** ინგლისის გენერალურმა შტაბმა შეადგინა პლანი გაზაფხულს ხართუმზე გასალაშქრებლად. ამ პლანის თანახმად ეგვიპტის ჯარი საფიქრებელია, რომ ნილოსის აყოლებით წავიდეს, რათა მტრის ყურადღება მიიქციოს; ინგლისელებს კი განზრახვა აქვსთ სუაკიმის მხრისკენ იმოქმედოს.

**პეტერბურგი.** დღეს იყო აქ საზოგადო კრება რუსეთის რკინის გზების მთავარი საზოგადოების აქციონერთა; კრებამ დაადგინა: მისცეს დივიდენდად სამ-სამი მანათი და $12\frac{1}{2}$ კაპ. ოქროთი, ლითონის 5% მაგივრად.

**კაირი.** ინგლისელი კლიფორდ-ალაიდი, რომელსაც ეგვიპტის სამინისტროში შინაურ საქმეთა მინისტრის ამხანაგის თანამდებობა ეჭირა; ლონდონში წავიდა სამუდამოდ, ყველა მისგან დანიშნულ მოხელეთ სამსახურიდგან ითხოვენ, ნუბარ-ფაშის სურვილია, რათა ში-

ნაურ საქმეთა სამინისტროში ევროპიელთ სრულიად აღარ იღებდენ სამსახურში.

მაისის 15-ს.

**პეტერბურგი.** ოფიციალური ცნობებიდგან სჩანს, რომ მიზეზი იმ უბედური შემთხვევისა, რომელიც ნიკოლაევის რკინის გზაზე მოხდა, ძალად გზის გაფუჭება ყოფილა ბოროტის განზრახულებით.

**კიახტა.** ხანკაუში ბაზრობა დაიწყო აპრილის 27-ს; ჩაი ისევ ისეთია, როგორიც შარშან იყო და ისევ იმავ ფასადაც იყიდება; კარგი ჩაი ძლიერ ცოტაა.

**ლონდონი.** გარეშე საქმეთა მინისტრის ამხანაგმა ფიცმორისმა გამოაცხადა საზოგადოებათა პალატაში, რომ ლონდონის და პეტერბურგის კაბინეტებს მოლაპარაკება აქვთ ერთმანეთში რუსეთის, სპარსეთის და ავგანისტანის სამზღვრების შესახებ; მაგრამ მოლაპარაკების ხასიათი ჯერ არ არის გამორკვეული და ამისათვის ჯერ არაფერი ითქმის იმაზედ; ამას ფრიცმორისმა ისიც დაუმატა, რომ ინგლისის ელჩი წინაშე თეირანისა გვაცნობებს--ხმებია,ვითომც სერახსში მოელოდენ რუსეთის მთავარ-სარდალსაო: აგრეთვე ლაპარაკობენო, ვითომც მთავარ-სარდალი იმიტომ მიდიოდეს იქ, რომ ჩაიბაროს ჰერირუდის მარჯვენა ნაპირზე მდებარე მიწები და მერვის თურქმენებს გარდასცეს სამფლობელოთაო.

მაისის 16-ს.

**პარიჟი.** დეპუტატთა პალატაში შეუდგენ მუხლობრივ გასინჯვას ახალი კანონის პროექტისას შესახებ სამხედრო გადასახადისა. ეს პროექტი პალატაში აღდგომის ვაკაციებამდე იყო შეტანილი. ამ პროექტის მეორე მუხლი რომელიც შეეხება ერთგვარს წესსა და ვადას სამხედრო სამსახურის გადახდაში, მიღებულ იქმნა 363 ხმის უმეტესობით 4-ს წინააღმდეგ. სხვა მუხლები, რომელნიც სხვა-და-სხვა შეღავათს შეეხებოდენ, უარყოფილ-იქმნენ.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატაში გლადსტონმა და ლორდთა პალატაში გრენვილმა გამოაცხადეს, რომ, თუ საფრანგეთთან მოლაპარაკება გვაქვს ეგვიპტის საქმეების შესახებ, ამით ის კი არა გვსურს, რომ ამ სახელმწიფოს ცალკე შევეთანხმოთო, არამედ ჩვენა გვსურს მთელის ევროპის თანხმობა დადგინდეს, რადგან ამ საქმეში ყველა სახელმწიფოების შეხედულობა და ინტერესები სახეში მიღებულ უნდა იქმნასო.

**კაირი.** დონგოლის გუბერნატორმა ძალიან დაამარცხა აჯანყებულები.

# განცხადებანი

—

**მაზანდა**

ხორაგისა, რომელიც იყიდება თბილისის ბაზრებში, დუქნებში და ხელ-და-ხელ 16 მაისიდამ 1 ივლისამდე 1884 წ.

| | | | |
|---|---|---|---|
| გამომცხვარი პური რუსეთის ფქვილისა— | —1 | გირ. | 5 კ. |
| ახალციხის ფქვილისა: პირველის ხარისხისა— | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 2 კ. |
| იმავე ფქვილ. თორნეში გამომცხვარი: | | | |
| პირველი ხარისხის | —1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორისა— — | —1 | გ. | 3 კ. |
| მესამისა— — | —1 | გ. | $2^1/_2$ |
| ჯვარის-მამი პური: | | | |
| პირველი ხარის. ლავაში | 1 | გ. | $4^1/_2$ |
| მეორის ხარის. ლავაში | 1 | გ. | $3^1/_2$ |
| მესამისა — — | —1 | გ. | 3 კ. |
| ძროხის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | 9 კ. |
| მეორისა — — | —1 | გ. | 8 კ. |
| სუკი . . . | —1 | გ. | 16 კ. |
| ცხვრის ხორცი | —1 | გ. | 10 კ. |
| ღორის ხორცი: | | | |
| პირველის ხარისხისა | —1 | გ. | — კ. |
| მეორისა— — | —1 | გ. | — კ. |

**შპალიერი** ახალი მხატვრობით მომავალის სეზონისათვის მიღებული ბლომად და სხვა-და-სხვა გვარი საწყობში ოდესის ფაბრიკის.

**ძმების ტარნოპოლისა**

ლორის-მელიქოვის (ფოსტის) ქუჩა, ზუბალოვის სახლი, სასულიერო სემინარიის პირ-და-პირ.

ფასი იგივე, რაც ფაბრიკაზედ 10 კაპეიკიდგან მოკიდებული.

(30—6)

თამამშოვის ქარვასლის საკუთრად თევზეულის მაღაზიაში ისყიდება მარტში დაჭერილი თევზეულობა: ზურგიელი, დოში, სათალი, და სხვ. იქვე ყოველ დღე ისყიდება მოხარშული თევზეული. (3—3)

სამასწავლებლო ინსტიტუტის მოსწავლე ეძებს

**გაკვეთილს;**

ქალაქ გარეთაც გაჰყვება. ადრესი „დროების" რედაქციაში. (10—5)

გამოვიდა ჟურნალი

# ივერია

აპრილის წიგნი № IV.

შეიცავს შემდეგ შინაარს: I **ლელია** (რომანი) ჟორჟ-ზანდისა, თარგ. კნ. ნ. ერისთავისაგან, II. ასეა და რა ვქნა? (ლექსი) პ—სი, III. საქართველოს მეფის-ძე რადამისტ—მეფე სომხეთისა და ტრაგედია კრებილიონისა ჯ.-სი, IV. პედაგოგიური მოსაზრებანი («ნობათი» №№ II და III) მ. ნასიძისა, V. ქართველთა ძველი ცხოვრების კვალი წმ. ქვეყანაში და სინაის მთაზე—სიტყვა თქმული პროფესორის ა. ა. ცაგარელის მიერ პალესტინის საზოგადოების სხდომაზე 30 დეკ. 1883 წ. VI. შინაური მიმოხილვის მაგიერი, VII. დამატება ივერიისა: მასალა ისტორიისათვის. შემოკლებითი აღწერა საქართველოსა შინა მცხოვრებთა თავადთა და აზნაურთა გვარებისა.

**ა ნ გ ა რ ი შ ი**

ბახვის გამგებელ-შემნახველ ამხანაგობისა
1883 წლისათვის.

პირველი იანვრისათვის 1883 წლისა იყო:

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული . . . | 1041—80 | გასესხებული. . . . | 1823—50 |
| სასარგებლოდ შემოტანილი . . . . . | 95— » | ნაღდ ფულად. . . . | 207—88 |
| ნასესხი . . . . . | 680— » | | |
| სათადარიგო თანხა . . | 10—34 | | |
| მოგება . . . . . | 158—24 | | |
| გარდასაცემი. . . . | 46— » | | |
| ჯამი. | 2031—38 | ჯამი. | 2031—38 |

1883 წელში:

| შემოვიდა: | მან. კაპ. | გავიდა: | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული. . . . | 565— » | წილის ფული. . . . | 86—80 |
| სარგებელი . . . . | 247—23 | მოგება . . . . . | 106—12 |
| ჯარიმა . . . . . | 13—50 | სესხი. . . . . . | 3027— » |
| სასარგებლოდ შემოტანილი . . . . . | 140— » | სარგებელი ვადაზედ წინ გარდახდილი ნასესხისა | 4—84 |
| სათადარიგო თანხა . . | 17—92 | სასარგებლოდ შემოტანილი ფული . . . | 119—88 |
| ალებ-მიცემობისა. . . | 8—10 | სარგებელი სასარგებლოდ შემოტანილი ფულისა | 3—49 |
| გარდასაცემი. . . . | 82—80 | ნასესხი . . . . . | 80— » |
| | | სარგებელი ნასესხისა. . | 33—41 |
| | | სამმართველოს ხარჯი. . | 31—37 |
| | | ალებ მიცემობისა . . | 17—92 |
| | | გარდასაცემი. . . . | 46— » |
| ჯამი. | 3360—19 | ჯამი. | 3556—83 |

1 იანვრისათვის 1884 წლისა არის:

| | მან. კაპ. | | მან. კაპ. |
|---|---|---|---|
| წილის ფული . . . | 1520— » | გასესხებული. . . . | 2565— » |
| სასარგებლოდ შემოტანილი . . . . . | 115—12 | ნაღდი ფული. . . . | 11—24 |
| ნასესხი . . . . . | 600— » | | |
| სათადარიგო თანხა. . | 28—26 | | |
| მოგება . . . . . | 230—06 | | |
| გარდასაცემი. . . . | 82—80 | | |
| ჯამი. | 2576—24 | ჯამი. | 2576—24 |

მოგება მანეთზე 12 კაპეიკი.

სამმართველოს წევრნი { გრიგოლ შარაშიძე. გიგო მგალობლიშვილი.

თბილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ იმის თანადასწრებით, ამა მაისის 18, დილის 12 საათზედ, მოხდება

**ვაჭრობა**

იჯარით გაცემაზედ ორ-ეტაჟიანი შენობებისა ქალაქის სასახლეში ერევნის მოედანზედ. ვისაც ამ შენობების აღება სურს, შეუძლიანთ ნახონ პლანიცა და პირობებიც გამგეობის საშენობო განყოფილებაში (**строительное отдѣленіе Управы**) ყოველ-დღე დილის 10 საათიდამ ნაშუადღევის 2 საათამდე, გარდა კვირა და უქმე დღეებისა. (3—3)

*Доз. ценз. Тифлисъ, 16 Мая 1884 г.* სტამბა არ. ქალანდაძისა და ამხ. გამომც. გ. ქართველიშვილი. რედ. ი. მაჩაბელი.